პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 219 (3449) 11 1967 წ., ნოემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

მოსკოვის თავზე ფრიალებენ ორმოცდაათი გმირული წლის დროშები

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე 1967 წლის 7 ნოემბერს

აი, მოვიდა ეს დღეც — დღესასწაულის ნათელი დღე, რომელიც აგვირგვინებს საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან ნახევარი საუკუნის მატიანეს..

საათის ისრები ათს უახლოვდება. სწორედ ამ დროს 1917 წლის 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს) ლენინმა ხელი მოაწერა მოწოდებას „რუსეთის მოქალაქეებისადმი!" სწორედ ამ დროს ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა. კიდევ რამდენიმე წუთი და კრემლის კურანტების რეკვა გვაუწყებს, რომ ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო თავისი სოციალისტური ისტორიის პირველი საუკუნის მეორე ნახევარი.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.** აქვე არიან **კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. მ. შვერნიკი.** მათთან ერთად არიან სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები და წევრები, რომლებიც ჩამოვიდნენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმზე.

... რეკავს კურანტები. ზუსტად 10 საათსა და 30 წუთზე კრემლის მაცხოვრის კარიდან გამოდის ღია მანქანა. მანქანაშია სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**, რომელიც იღებს პარადს. მან ჩამოუარა ჯარებს, მიესალმა მეომრებს და მიულოცა მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი.

ა. ა. გრეჩკო ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და წარმოთქვამს სიტყვას.

.... იწყება საიუბილეო პარადის პროლოგი, მისი ისტორიული ნაწილი. წინ მოდიან ნორჩი მედოლეები, რომლებიც გამოწყობილი არიან ბუდიონურებსა და კავალერისტთა გრძელ მაზარებში.

... მოდიან ადამიანები 1891 წლის ნიმუშის შაშხანებით ხელში. ისინი სხვადასხვანაირად არიან ჩაცმული. ზოგს ტყავის ქურთუკი აცვია, ზოგს — პალტო, რომლებზეც სამხედრო ქამრები შემოურტყამთ. ესენი წითელგვარდიელები არიან.

წითელ მოედანზე არიან მწვანეკომბინიზონიანი და ჟოლოსფერბერეტიანი მეომრები. ჩვენს მედესანტეებს შეუძლიათ გადაჭრან თანამედროვე ბრძოლის სხვადასხვა, ყველაზე ურთულესი ამოცანები.

პარადში პირველად მონაწილეობს ორგზის წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის სამხედრო ნაწილი...

მოდიან სუვოროველები და ნახიმოველები.

... წითელ მოედანზე შემოდიან რაკეტები. ამ რაკეტებით აღჭურვილია ყველა გვარეობის საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

მოდიან ანტირაკეტები. ისინი გათვალისწინებული არიან დაიცვან ჩვენი ქვეყანა აგრესორის რაკეტულ-ატომური დარტყმებისგან. ანტირაკეტები ცალკეული ობიექტებისა და ჩვენი ქვეყნის ვრცელი რაიონების საიმედო დაცვის საშუალებას იძლევა.

პარადს აგვირგვინებენ ყველაზე მძლავრი საბრძოლო სტრატეგიული რაკეტები.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა კრემლის გორაკზე და წითელი მოედანი შეიმოსა რევოლუციის ფერით, ოქტომბრის ფერით. წითელ კოსტუმებში გამოწყობილი მეწინავე კოლონის მონაწილეებს მოაქვთ ასობით წითელი ტილოები. სვლას იწყებენ უზარმაზარი ალმები, რომლებზეც გამოსახულია ლენინის პორტრეტი და წარწერილია: „დიდი ოქტომბერი".

ავტომანქანებზე ფრიალებს წითელი ალმები. მათზე გამოსახულია მარქსის, ენგელსის, ლენინის — დიდ მოაზროვნეთა და რევოლუციონერთა პორტრეტები, რომლებმაც სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად, ჩვენი დღეების პრაქტიკად აქციეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები. ოქროსფერი ასოებითაა წარწერილი ლოზუნგი: „გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას!"

ჯერ არ ჩამქრალა ცაში ფეიერვერკის ცეცხლოვანი თაიგულები, მოედანზე კი შემოდიან მოსკოვის რაიონების კოლონები.

წითელ მოედანს ჯერ არ უნახავს ასეთი ფერადოვანი საყოველთაო სახალხო ზეიმი. როცა მავზოლეუმის გრანიტის ტრიბუნებს ჩაუარა უკანასკნელმა კოლონამ, მოედანზე ათასობით კომკავშირელი გამოვიდა. მათი რიგებიდან აღიმართა უზარმაზარი ასოები და წითელ მოედანზე გადაიჭიმა სიტყვები":

„ხალხი და პარტია ერთიანი არიან!"

მოედანზე ქუხს ვაშა და ზეიმის საბოლოო აკორდად ცაში ავარდა წითელი ბურთები, რომლებმაც ცაში აიტანეს ვიმპელები წარწერით „ოქტომბრის 50 წელი".

საზეიმოდ ჟღერს „ინტერნაციონალის" მელოდია. პარტიული ჰიმნით იწყებს ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის პირველი საუკუნის მეორე ნახევარს. ჩვენი ქვეყანა მიდის მომავლისაკენ! (საკდესი).

დიდი ოქტომბრის დროშით

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

დიდმა ოქტომბერმა სრულიად ახალი ფურცელი ჩაწერა ქართველი ხალხის, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების ცხოვრებაში. საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან იუბილეს საქართველო შეეგება ძალით და ძლიერებით აღსავსე.

სრულად რომ გეგრძნოთ, თვალნათლივ რომ დაგვენახათ, გაგეგოთ ქართველი ხალხის ენთუზიაზმი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში, 7 ნოემბერს უნდა ყოფილიყავით რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე.

მთავრობის სახლის ფრონტონზე მოჩანს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძვირფასი სახე. ტრიბუნაზე არიან სსრ კავშირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წმინდათაწმინდა ომების მონაწილენი, წარმოების ნოვატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან **გ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი.**

ლენინის მოედნის მხრიდან ღია მანქანით გამოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი **ა. ტ. სტუჩენკო.** პროსპექტის ცენტრში, მთავრობის სახლთან სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **დ. ა. დრაგუნსკი** პატაკს აძლევს სარდალს პარადისათვის ნაწილების მზადყოფნის შესახებ. ამხ. სტუჩენკომ ჩამოუარა ჩამწკრივებულ ჯარებს, მიესალმა მათ და მიულოცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი.

— შემდეგ არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო ადის ცენტრალურ ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას.

... მიჩუმდა საბრძოლო ტექნიკის გუგუნი, შეწყდა დოლების ხმა. მოდიან ლენინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ღონიერ ხელებს აუტაციათ ჰაერში, თითქოს გრანიტისაგან გამოკვეთილი ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი.

შემდეგ მოდიან პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის რაიონების **მშრომელთა წარმომადგენლები.**

ერთ მჭიდრო მწკრივად, მხარდამხარ მოდიან ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ შეაკავშირა ერთსულოვან ოჯახად. ოქტომბრის დიადი მონაპოვარი, ხალხთა მეგობრობა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაღლესი აღმავლობის მძლავრი წყაროა.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

თბილისის მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილეთა შორის მთავრობის სახლის წინ მოწყობილ ტრიბუნას ჩაუარეს მრავალ სპორტულ ბრძოლებში მონაპოვარი მედლებით მკერდდამშვენებულმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა და ოსტატებმა, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონებმა, საკავშირო სარბიელზე გამარჯვებულმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა.

მარცხნივ სურათზე თქვენ ხედავთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან სპორტსმენთა კოლონის მოწინავე რაზმს (მარჯვნიდან მარცხნივ) გ. სხირტლაძეს, ნ. დუმბაძეს, დ. ციმაკურიძეს, ს. ჯაიანს, ლ. ჟურულს, ა. მეტრეველს, ზ. მაჩხანელს, ნ. დვალიშვილს, ლ. იეველევას, რ. ჩიმიშკიანს, მ. ჯუღელსა და ნ. გაფრინდაშვილს; მარჯვნივ — მოდიან ქუჩის გუნდების საკავშირო ტურნირში გამარჯვებული „ციხკრის" ფეხბურთელები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმი მტკვარზე

თბილისის სპორტკავშირის ინიციატივით მტკვარზე ჩატარდა საქალაქთაშორისო შეხვედრა საწყლოსნო თხილამურებში, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში მოსკოვის, კიევის, რიგისა და თბილისის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

უამინდობის მიუხედავად პაექრობა მწვავედ და საინტერესოდ მიმდინარეობდა. ორი თხილამურით სრიალში პრინციპული ბრძოლა გაიმართა საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო შეჯიბრებათა არაერთგზის პრიზიორის, სპორტის ოსტატ მ. გოხბერგსა და საქართველოს ჩემპიონს გ. ყიასაშვილს შორის. გამარჯვებული ჩვენი თანამემამულე გამოვიდა. სამაგიეროდ, გოხბერგმა ცალ თხილამურზე სრიალში აიღო რევანში. ავადმყოფობის გამო ტრამპლინიდან მხტომელთა შორის ვერ ვიხილეთ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენი, საკავშირო პირველობის პრიზიორი ვ. ძაგანია. ამ სახეობაში საუკეთესო მოსკოველი ვ. გუსევი გახლდათ.

ქალებში ძირითადი ბრძოლა სპორტის ოსტატებს — მოსკოველ ნ. პავლოვასა და რიგელ ს. ცინტინიას შორის მიმდინარეობდა. ნ. პავლოვამ ცალ თხილამურზე გაიმარჯვა, ხოლო ს. ცინტინიამ — ორ თხილამურზე.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებს [illegible] მეორე ადგილზე მოსკოვის გუნდი გავიდა. მომდევნო ადგილები რიგისა და კიევის კოლექტივებმა დაიკავეს.

შეჯიბრების საზეიმო დახურვისას სტუმრებს სამახსოვრო თასები და სუვენირები გადაეცათ, ხოლო გამარჯვებულები სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ჯ. სარიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

დამსხვრეული სამიზნეები

თბილისელ მესტენდურეთა ოქტომბრის ზეიმისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილენიც ასპარეზობდნენ. არმიელთა სპორტული კლუბის სტენდის ცეცხლის ხაზზე ქალაქის 25 უძლიერესი მსროლელი გამოვიდა. მათგან 15 სპორტის ოსტატი იყო.

მონაწილეებს 100-100 სამიზნე უნდა მიეღოთ. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში თავიდანვე დაწინაურდა სპორტის ოსტატი ტ. ულენტი (მონკავშირი), რომელმაც საბოლოოდ 97 ქულა მოაგროვა და ქალაქის სპორტკავშირის თასი დაისაკუთრა. II და III ადგილების ბედი დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა: სპორტის ოსტატმა ნ. ჯანაშიამ (მონკავშირი) და არმიელმა ა. დიშჩუკმა მანამდე 91-91 ქულა მოაგროვეს. გადასროლა ჯანაშიამ მოიგო.

ადგილიდან სროლაში ორი სერიის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავდა — ზ. მაჩხანელმა („სპარტაკი") და გ. მეფარიშვილმა (მონკავშირი) 50-დან 3-3 სამიზნეს დააცილეს. მათ 2 ქულით ჩამორჩებოდა სპორტის ოსტატი შ. ჩახნაშვილი (მონკავშირი). მესამე სერიამ შ. ჩახნაშვილი დააწინაურა. ამჯერად მან ერთ სამიზნეს დააცილა, მეფარიშვილმა — სამს, მაჩხანელმა — ხუთს. ახლა ყველაფერი ბოლო სერიაზე იყო დამოკიდებული.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონმა ზ. მაჩხანელმა ბოლო სერიაში უშეცდომოდ ისროლა. ჩახნაშვილმა და მეფარიშვილმა 2-2 ქულა დაკარგეს და საბოლოოდ სამივე მეტოქეს ერთნაირი შედეგი (92) აღმოაჩნდა. თასის მფლობელი დამატებითმა სერიამ გამოავლინა. აქ უპირატესობა მაჩხანელს ხვდა, ჩახნაშვილი II ადგილზე გავიდა, III იყო მეფარიშვილი.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ქუთაისის სპორტკავშირის, კომკავშირისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტების ინიციატივით მოეწყო ავტომოტოლაშქრობა მარშრუტით: ქუთაისი — სამტრედია — ფოთი — ბათუმი — ქობულეთი — მახარაძე — ჩოხატაური — სამტრედია — ქუთაისი.

ლაშქრობაში მონაწილეობდნენ „ვოლგის" ტიპის მანქანები და სპორტული მოტოციკლეტები. მონაწილეებმა 300 კილომეტრზე მეტი დაფარეს. ისინი გზადაგზა ათვალიერებდნენ ისტორიულ და რევოლუციურ ბრძოლებთან დაკავშირებულ ადგილებს.

სურათზე: ლაშქრობის მონაწილენი ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე.

ფოტო ო. ბერეჩიკიძისა.

ღია სტარტის ნაყოფი

თბილისში „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს აუზში გამართულ მოცურავეთა შეჯიბრებაში „ღია სტარტი", რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებულთა მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი: ქალაქის 138-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა გოგონამ ტ. შელესტმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველად შეასრულა მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივი. მისი შედეგია 1 წუთი და 20,1 წამი. ვაჟთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა მ. ქათამაძემაც — 1.01,4. მანვე მოიგო 50 მეტრზე ბრასით ცურვა — 34,7.

ასპარეზობაში თავი ისახელეს აგრეთვე, მ. ცქიტიშვილმა, გ. ბოლქვაძემ, ი. ოვჩინიკოვამ, ნ. ბურკინამ და სხვ.

ა. გურასაშვილი.

ამას წინათ თბილისის თითქმის ყველა სპორტულ ბაზაზე გაიმართა ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები — საქალაქო პირველობანი, სამატჩო შეხვედრები, მოეწყო ღია სტარტები... ერთი ამგვარი ტურნირი სპორტკლუბ „სინათლის" კრივის დარბაზშიც ჩატარდა. „ღია რინგზე" მრავალმა ჭაბუკმა სცადა ძალა. ამ **სურათზე** სწორედ იმ შეჯიბრების მონაწილეები — მსუბუქი წონის მოკრივეების განთიადელ გ. დევდარიანისა და დინამოელ ტ. ამოევის ორთაბრძოლას ხედავთ. საინტერესო დუელი დევდარიანმა მოიგო.

ფოტო ა. გურასაშვილისა.



სარბიელზე — მეცნიერები

განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით ჩატარდა თბილისის სამეცნიერო დაწესებულებების სპარტაკიადა.

პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ტყვიის სროლა.

სასპარეზოდ გამოვიდნენ 16 დაწესებულების წარმომადგენლები — მეცნიერ-თანამშრომლები, ლაბორანტები, ასპირანტები, პროფესორ-მასწავლებლები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს არაორგანული ქიმიის, ფიზიკისა და კიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, რომლებმაც ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილები. არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი, II-III ადგილებზე გასულ გუნდებს კი სიგელები. 185 სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმა.

გ. არჩვაძე,
„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

ჯილდოები ღირსეულთ

185. **ვ. უსტიანცევი** — სოხუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
186. **დ. ფავლენიშვილი** — თბილისის განათლების განყოფილების ჭაბუკთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი.
187. **ლ. ფალავანდიშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთის, ფრენბურთისა და მოძრავი თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი.
188. **შ. ფანცულაიძე** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
189. **ი. ფარეშაშვილი** — თბილისის ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.
190. **ი. ქირია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
191. **ვ. ქირიკაშვილი** — ყაზბეგის სამაშველო პუნქტის უფროსი.
192. **ო. ქორქია** — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი კალათბურთში.
193. **გ. ღლონტი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
194. **კ. ღლონტი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელი.
195. **ლ. ღუდუშაური** — თბილისის სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე.
196. **ვ. ყიფიანი** — საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის წევრი.
197. **ნ. ყიფიანი** — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
198. **გ. შამანიდი** — თეთრი წყაროს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
199. **მ. შელია** — წალენჯიხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
200. **ე. შიოშვილი** — ბათუმის ჭაბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი.
201. **გ. შპაკოვსკი** — სოხუმის საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი.
202. **ხ. შუდრა** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის უფროსი მწვრთნელი.
203. **ჰ. ჩართოლანი** — მესტია, მთამსვლელობის ინსტრუქტორი.
204. **კ. ჩეხოევი** — ცხინვალის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
205. **მ. ჩიკვაიძე** — თბილისის სპორტკლუბ „სინათლის" თავმჯდომარე.
206. **გ. ჩიტიძე** — რუსთავის „დინამოს" საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.
207. **შ. ჩიქობავა** — ცხაკაიას რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
208. **ა. ჩოგოვაძე** — ქუთაისის „დინამოს" საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
209. **ლ. ჩხაიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი.
210. **ს. ჩხარტიშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე.
211. **ნ. ჩხატარაშვილი** — ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი.
212. **ნ. ჩხენკელი** — წყალტუბოს პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.
213. **ს. ჩხენკელი** — ცხაკაიას საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
214. **დ. ჩხიკვაძე** — ჩოხატაურის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
215. **ლ. ცაბაძე** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
216. **ვ. ცინაძე** — ასპინძის „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.
217. **დ. ცინცაძე** — ჩოხატაურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
218. **ი. ცინცაძე** — ჩოხატაურის სპორტთამაშების სექციის თავმჯდომარე.
219. **ნ. ცნობილაძე** — თბილისი, ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.
220. **დ. ცომაია** — საქართველოს სპორტკავშირის უფროსი მწვრთნელი.
221. **მ. ცხვედაძე** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის უფროსი მწვრთნელი.
222. **ლევ ძეკონსკი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
223. **ლეონიდ ძეკონსკი** — „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მწვრთნელი ჰიდაობაში.
224. **ნ. წერეთელი** — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
225. **მ. წილოსანი** — ლანჩხუთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
226. **ა. წითაძე** — მაიაკოვსკის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 215, 216, 217.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩები, გოლები, ქულები

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის მეორედ მოსაპოვებლად კიევის „დინამომ“. კიეველებმა თავიანთ მინდორზე დაამარცხეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 2:0. ორივე ბურთის ავტორი იყო ა. ბიშოვეცი.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა მატჩმა ერევანში ადგილობრივ „არარატსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის. მინსკელებმა ა. ვასილიევმა და მ. მუსტიგინმა 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში, რასაც „არარატმა“ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა (ი. კოვალენკო).

როსტოვის არმიელთა შეხვედრაში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ფიქსირებულ იქნა ფრე — 1:1. ბურთები გაიტანეს ო. კოპაევმა (როსტოვი) და ბ. კოხმა. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა დონეცკის „შახტიორისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩი.

ბაქოს „ნეფტიანიკმა“ საკუთარ მინდორზე იოლად დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი“ — 3:0.

ევროპაში უძლიერესნი

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში ორი სასიხარულო ცნობა მოვიდა თურქეთიდან. ჯერ იყო და 7 ნოემბერს სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა (იზმირში) გაინაღდა ევროპის ჩემპიონობა, ხოლო 8 ნოემბერს (სტამბოლში) ჩეხოსლოვაკიელებთან გადამწყვეტ მატჩში გამარჯვებით ჩვენმა ვაჟებმა მოიპოვეს ევროპაში უძლიერესი გუნდის სახელი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ქალებმა ყველა შეხვედრა „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოიგეს და დაამტკიცეს თავიანთი უძლეველობა. აი, ისინიც: ვ. ვინოგრადოვა, ტ. როდიონოვა, ტ. პონიაევა, ლ. ევტუშენკო, ი. რისკალი, ვ. ლანტრატოვა, გ. ელნიცკაია, რ. სალიხოვა, ნ. სმოლეევა (ნიკიტინა), ნ. აბრამოვა და ვ. მიშაკი. ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს პოლონელებმა, ბრინჯაოსი კი — ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა.

ჩვენი ვაჟების გზა ჩემპიონობამდე ასე იოლი როდი იყო. საკმარისია ითქვას, რომ მათ ჩეხოსლოვაკიელებთან გადამწყვეტ მატჩში მრავალი დრამატული წუთის გადატანა მოუხდათ. ჩვენებმა პირველი პარტია შედარებით იოლად მოიგეს (15:7), მეორე ხელის მოგება კი ძალიან გაუჭირდათ და მეტოქეებს მხოლოდ 2 ქულით აჯობეს (15:13). III და IV პარტიებში უპირატესობამ მსოფლიო ჩემპიონთა მხარეს გადაინაცვლა: მათ მძიმე ბრძოლაში გაათანაბრეს ანგარიში— 2:2 (15:13, 15:10)... V გადამწყვეტ პარტიაში საბჭოთა სპორტსმენების ბედი სასწორზე იდო: ჩეხოსლოვაკიელები დაწინაურდნენ — 10:7... და სწორედ ამ დროს, საბჭოთა ფრენბურთელთა „მანქანა“ შეუცდომლად ამოქმედდა. ჩვენებმა 8 უპასუხო მომგებიანი ქულა აიღეს (15:10) და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:2. ევროპის ახალი ჩემპიონები არიან: ვ. სიბირიაკოვი, ვ. კრავჩენკო, ე. ლაპინსკი, ვ. ბელიაევი, ვ. პენტიოშკინი, ვ. კაჭარავა, ვ. მიხალჩუკი, ი. პოიარკოვი, ვ. ივანოვი, ქ. საურამბაევი, ი. ბუგაენკოვი და გ. მონძოლევსკი. II ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიელებმა, ხოლო III — პოლონელებმა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი იმის თაობაზე, რომ ევროპის პირველობაზე სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები ფაქტიურად 2 თანაბარძალოვანი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ გუნდში უმტკივნეულოდ ხდებოდა შემადგენლობათა ხშირი ცვლა და წარმატებით სრულდებოდა ყოველი ტაქტიკური ჩანაფიქრი.

სსრ კავშირის პირველობაზე, თასზე

ფრე „სპარტაკთან“

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ნოემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:0.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, წვერავა, ასიტაშვილი, ზარია, ვეკუა, ხაჟალია, ქითანავა.

„სპარტაკი“: მასლაჩენკო, პეტროვი, გრებნევი. კრუტიკოვი, დერიაბინი, როჟკოვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, ოსიანინი (იანკინი), მიხაილინი, ჰუსაინოვი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 3:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

შეიძლება ითქვას, რომ ორივე გუნდი თავისუფალი იყო ფსიქოლოგიური ხასიათის შეზღუდვებისგან: მოსკოველებმა თითქმის საბოლოოდ დაკარგეს რეალური შესაძლებლობა III ადგილის დაკავებაზე, ხოლო ტორპედოელებმა კარგა ხანია დააღწიეს თავი სახიფათო ზონას და შესაძლებლობა აქვთ თამამად იბრძოლონ გათამაშების ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო, ორივე გუნდის მოთამაშეები აქტიურად მოქმედებდნენ მინდვრის შუაგულში, მაგრამ, უნდა ითქვას, სარისკო თამაშს ორივე გუნდი ერიდებოდა. თუ ვიტყვით გამწვავებებზე, ეს უფრო ტორპედოელებს ეხებათ, რომლებიც დროდადრო დაძაბულ იერიშებზე გადადიოდნენ, მაგრამ მოსკოველები მთელი შესაძლებლობებით იცავდნენ თავს და, ამას გარდა, მასპინძელთა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. მაგალითად, ასიტაშვილის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი ძლივს მოიგერია მასლაჩენკომ. ამ მომენტში ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა ქითანავა, მაგრამ მან დააგვიანა გადამწყვეტი დარტყმის შესრულება და საშუალება მისცა მეკარეს აეღო ბურთი. მცირე ხანში მასლაჩენკოს კიდევ მოუხდა ძნელი ბურთის აღება ზარიასგან. 28-ე წუთზე ვეკუამ თავით მიიღო ძოძუაშვილის მოწოდებული ბურთი და ოდნავ ააცილა კარს. რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა ქუთაისელთა კართანაც. კერძოდ, ტაიმის მიწურულში მიხაილინის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა წივწივაძემ.

შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება მინდვრის შუაგულში. ერთ-ერთ მომენტში კვასხვაძემ გაბედული ნახტომით იხსნა კარი ოსიანინის დარტყმისგან. მატჩის დასასრულს ბრძოლის სიმწვავემ იკლო და მოწინააღმდეგეები მშვიდობიანად დაზავდნენ — 0:0.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი I ჯგუფი

მდგომარეობა 11 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	32	20	10	2	49—10	50
„დინამო“ (მოსკოვი)	32	17	12	3	50—19	46
„დინამო“ (თბილისი)	33	15	12	6	43—26	42
„დინამო“ (მინსკი)	33	12	16	5	44—28	40
„შახტიორი“ (დონეცკი)	33	12	14	7	41—37	38
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	33	11	14	8	34—27	36
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	32	12	10	10	45—32	34
„არარატი“ (ერევანი)	32	12	9	11	35—32	33
ცსკა	32	11	11	10	33—32	33
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	33	8	16	9	22—23	32
ასკ (როსტოვი)	33	11	8	14	34—41	30
„ტორპედო“ (მოსკოვი)	32	11	7	14	35—43	29
„ტორპედო“ (ქუთაისი)	34	7	14	13	33—47	28
„ზარია“ (ლუგანსკი)	32	8	11	13	23—35	27
„კაირატი“ (ალმა-ათა)	33	9	9	15	24—46	27
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	33	7	12	14	31—34	26
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	33	4	17	12	28—40	25
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	32	7	9	16	20—41	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	33	6	9	18	24—55	21



ერთადერთი საგზურისთვის

ყარაგანდის „შახტიორი“, კიროვაბადის „დინამო“ და კიევის არმიელთა გუნდი იბრძვიან ერთადერთი საგზურისთვის, რომელიც გამარჯვებულს უფლებას აძლევს გაისად სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ითამაშოს „ა“ კლასის I ჯგუფში.

8 ნოემბერს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და ყარაგანდის „შახტიორი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ეს ფრე ძალზე საჭირო იყო ყარაგანდელთათვის, რომლებმაც 5 ქულა დააგროვეს 6 შესაძლებლიდან. გამარჯვების შანსები აქვს კიროვაბადის გუნდსაც. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება 12 ნოემბრის მატჩს კიროვაბადში „დინამოსა“ და „შახტიორს“ შორის.

თასი — „დინამოს“

სსრ კავშირის 1967 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში დამთავრდა. 8 ნოემბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი დედაქალაქის გუნდებს — „დინამოსა“ და ცსკა-ს შორის.

საკავშირო თასის გათამაშებათა ისტორიაში ეს ორი გუნდი უკვე შეხვედრია ერთმანეთს ფინალურ მატჩებში. 1945 და 1955 წლებში არმიელებმა ორჯერ დაამარცხეს დინამოელები გადამწყვეტ შეხვედრებში და ორჯერვე ერთნაირი ანგარიშით — 2:1.

8 ნოემბერს „დინამომ“ აიღო რევანში. ანგარიში გახსნა გუსაროვმა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ ვშივცევმა კარგად გამოიყენა ცსკა-ს მეკარე კუდასოვის შეცდომა — 2:0. შესვენების შემდეგ ანიჩკინმა საბოლოოდ განამტკიცა დინამოელთა გამარჯვება — 3:0.

საპატიო პრიზი გადაეცა მოსკოვის „დინამოს“, რომელიც ამ დღეს გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ივანოვი, ვშივცევი, გუსაროვი, ევრიუჟიხინი. მატჩში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე, სათადარიგო მეკარე სკოკომა და თავდამსხმელმა კოზლოვმა.

მოსკოვის „დინამო“ ადრე ორჯერ იყო სსრ კავშირის თასის მფლობელი: 1937 და 1953 წლებში.

დ ე ლ ი — ფალავნების მოლოდინში

12-14 ნოემბერს ინდოეთის დედაქალაქ დელიში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. წინასწარი მონაცემებით, ტურნირში გამოვა 20 ქვეყნის 130-მდე სპორტსმენი. შეხვედრები გაიმართება ინდოეთის დედაქალაქის ეროვნულ სტადიონზე. საბჭოთა სპორტსმენები უკვე ჩაფრინდნენ დელიში. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში არიან (წონითი კატეგორიების მიხედვით): ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი **ნ. ალბარიანი,** მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ა. ალიევი,** ევროპის ექს-ჩემპიონი **ე. თედეევი,** ევროპის ჩემპიონი **ზ. ბერიაშვილი,** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **გ. სალარაძე,** ევროპის ჩემპიონი **ვ. გურევიჩი,** ევროპის ვიცე-ჩემპიონი **შ. ლომიძე,** ტოკიოს ოლიმპიადის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი **ა. მედვედი.** გუნდის სათადარიგო წევრები არიან **ტ. ალიბეგაშვილი** და ევროპის ჩემპიონი **ა. შახმურადოვი.**

საბჭოთა მოჭიდავეების მწვრთნელი ა. დიაკინი თვლის, რომ ჩვენი მოჭიდავეები დელიში უკეთ გამოვლენ ვიდრე ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდნენ, როცა საერთო გუნდურ ჩათვლაში წინ გაუშვეს თურქეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. დიაკინის აზრით, პირველობისათვის ბრძოლა გაჩაღდება თურქეთის, ირანის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, აშშ-სა და იაპონიის წარმომადგენლებს შორის. ბრძოლისათვის კარგად მოემზადნენ ჩემპიონატის მასპინძლებიც. ინდოელი სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში უძლიერესთა ექვსეულში გასვლას ფიქრობენ.

დიდი მუშაობა გასწია ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა. განიცდიდა რა ფინანსურ ნაკლებობას, მან გამოიყენა კინოს პოპულარობა ამ ქვეყანაში. დელის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზში ჩატარდა ფასიანი საღამო პოპულარული ინდოელი კინომსახიობების მონაწილეობით. ამ ღონისძიების მთელი შემოსავალი გადაეცა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს. ინდოეთის ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სურვილია ჩემპიონატი ჩატარდეს მაღალ დონეზე, და მისი მონაწილეები ინდური სტუმართმოყვარეობით კმაყოფილი დარჩნენ.

ჰ. ხაჩკოვანიანი,
ჭიდაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ახალი ამბები

● **ლაიპციგი,** 9 ნოემბერი. მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს 4×100 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში გდრ-ის მოცურავეებმა — რ. მატესმა, ვ. ხენინგენმა, ხ. გ. გრეგორმა და ფ. ვიგანდმა. მათი დრო 3.56,5, რაც წინანდელ რეკორდზე 0,7 წამით უმჯობესია. ეს იყო გუშინწინ, ხოლო გუშინ ერთ-ერთმა მათგანმა, რ. მატესმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. მისი დრო 2.07,9 1,5 წამით სჯობს ტოკიოს უნივერსიადის ჩემპიონის, ამერიკელ ჩ. ჰიკოქსის წინანდელ რეკორდს.

● **ლენინგრადი,** 9 ნოემბერი. მეხიკოს „მცირე ოლიმპიადის“ ოქროს ორი მედლის მფლობელმა აქაურმა მოცურავემ, 22 წლის ვ. კოსინსკიმ მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. მისი დრო 1.06,7.

ასპარეზობენ ფინალში

ზაპოროჟიეში გამართულ სამბისტთა საკავშირო პირადი პირველობის ზონალურ ტურნირში საქართველოს 19 სპორტსმენი ასპარეზობდა. შეჯიბრება კარგად ჩაატარეს და ფინალში გავიდნენ გორელი სტუდენტები გ. ბეინიშვილი, გ. იმერლიშვილი, რ. მაღალთაძე, ვ. ბორჩაშვილი და ვ. იაშვილი, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს. მათ გარდა, ფინალში გავიდნენ „კოლმეურნის“ წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, 40 წლის კასპელი ფალავანი ლ. კაციაშვილი და ლანჩხუთელი ნ. წოქარიძე. ფინალური ტურნირები გაიმართება მინსკში 1-3 დეკემბერს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჩემპიონი უცვლელია

სოფ. დიდი-ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტადიონზე ამას წინათ ჩატარდა ლელობურთელთა რესპუბლიკური პირველობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის (ორი), ბათუმის, მახარაძის, გურჯაანის, გულრიფშის, თბილისისა და სამტრედიის რაიონების გუნდები.

ყველა შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონობაც შეინარჩუნეს ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კანტორის ლელობურთელებმა.

II ადგილზე გავიდა ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი, ხოლო III — ბათუმის ნაკრები.

ჩოხატაურელ ჩემპიონებს გარდამავალი თასი და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ჯ. ვაშაკიძე.

• • •

რედაქციისაგან: როცა ეს კორესპონდენცია იბეჭდებოდა, რედაქციაში სტუმრად მოვიდა ჩოხატაურის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი ლელობურთში და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი **ი. მინდაძე.** იგი დაწვრილებით გვესაუბრა აღნიშნული ასპარეზობის ავ-კარგზე. საკვირველია, მაგრამ გულრიფშისა და თბილისის გუნდებმა პირველი შეხვედრების წაგებისთანავე გუდა-ნაბადი აიკრეს და შეჯიბრება მიატოვეს. ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობისა და სამტრედიის გუნდების შეხვედრა გადაიდო. მეორე დღეს ჩოხატაურლებს ზედიზედ ორი მატჩის ჩატარება მოუხდათ. ლელობურთში ერთ დღეს ორი მატჩის გამართვა, მოგეხსენებათ, ძალიან დიდ დატვირთვას მოითხოვს და სრულიად გაუმართლებელია.

ხსვათა შორის, ტურნირის ორგანიზატორებმა ვერ უზრუნველყვეს მონაწილეთა სამტრედიაში გადაყვანა შეჯიბრების ადგილიდან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლელობურთელთა პირველობა რატომღაც თითქმის მუდამ ერთ რაიონში ტარდება. მაგალითად, აფხაზეთში, ცხინვალში, ახალციხეში, ბორჯომში, გორში არც ერთი ასეთი შეჯიბრება არ გამართულა. თბილისელებს 17 წელია ლელობურთელთა ასპარეზობა არ უნახავთ. ყოველივე ამის გათვალისწინება უფრო მასობრივს გახდიდა ამ თამაშს. ვფიქრობთ, ამ საკითხზე ზრუნვა პირველყოვლისა, იმ სპორტულ ფედერაციას ევალება, რომელშიც ლელობურთელები არიან გაერთიანებულნი.

ფინიშის სწორზე

სოჭი, 10 ნოემბერი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მსაჯთა კოლეგიამ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის წინ გადაწყვიტა საბჭოთა მოჭადრაკეების პარტიები, რომელიც 7 ნოემბერს უნდა შემდგარიყო, დასვენების დღეს — 6 ნოემბერს გაემართა. ყაიმით დამთავრდა ივკოვ—გიპსლისისა და მატანოვიჩ — გელერის პარტიები. შტეინმა მოსაგებ პოზიციაში გადასდო პარტია ბილეკთან. მეორე დღეს კი უნგრელი დიდოსტატი გაუთამაშებლად დანებდა. კორჩნოიმ ყაიმისთვის უნდა იბრძოლოს მატულოვიჩთან პარტიაში, სადაც იუგოსლაველ დიდოსტატს ხარისხი აქვს ორ პაიკში.

XVII ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პორტიშმა მოუგო სარაპუს, მიაგმარსურენმა — კუელარს, ბირნმა — სატლსს. ყაიმით დამთავრდა გლიგორიჩ — რეშევსკის პარტია. კავალეკ — ბარცაისა და მეკინგ — პორტის შეხვედრები გადაიდო.

XVIII ტურში კიდევ ერთი ქულა მოიხვეჭა შტეინმა. მან შემტევ სტილში დაამარცხა ბარცაი. დამაჯერებლად მიიწევს წინ ლარსენი. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, 15 წლის მეკინგი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო და ლარსენმა მე-11 გამარჯვება იზეიმა. პორტიშმა 38-ე სვლაზე დაამარცხა კავალეკი. ჰორტმა მოუგო ბუაზიზს, ხოლო სარაპუმ — მიაგმარსურენს. ყაიმით დამთავრდა გიპსლის — მატანოვიჩისა და რეშევსკი — ივკოვის შეხვედრები. რთულ მდგომარეობაშია გადადებული კორჩნოი — ბილეკისა და ბირნ — გლიგორიჩის პარტიები. გადადებულ პოზიციაში გელერის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს მატულოვიჩთან შეხვედრაში. ადრე გადადებულ პარტიაში ბუაზიზმა დაამარცხა ბირნი.

XIX ტურში ლარსენმა მოუგო ბუაზიზს, კორჩნოიმ — ბარცაის, კავალეკმა — მიაგმარსურენს, კუელარმა — სარაპუს. ყაიმით დამთავრდა ბილეკ — გელერის, ივკოვ — ბირნის, მატანოვიჩ — რეშევსკისა და სატლს — ჰორტის შეხვედრები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადაიდო პორტიშ — შტეინის პარტია. გადადებულია აგრეთვე, მატულოვიჩ — გიპსლისის შეხვედრა.

19 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ლარსენს 13,5 ქულა აქვს 17-დან, გლიგორიჩსა და პორტიშს — 11-11 16-დან და თითო გადადებული პარტია, ივკოვს — 11 18-დან, გელერს — 10,5 16-დან, და 1 გადადებული პარტია, მატანოვიჩს—10,5 18-დან, ჰორტს—10 16-დან და ერთი გადადებული პარტია, რეშევსკის — 10 17-დან, მატულოვიჩს — 9,5 15-დან და 3 გადადებული პარტია, კორჩნოის — 9,5 15-დან და 2 გადადებული პარტია.

ოლიმპიური ამბები

● XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს დაუგზავნა სპეციალური დადგენილება დოპინგის საწინააღმდეგო მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ. კონტროლს განახორციელებს სპეციალური კომისია, რომელშიც უმთავრესად მექსიკელი ექიმები და რამდენიმე მოწვეული სპეციალისტი შევლენ. დასავლეთის პრესის აღიარებით, „მექსიკელთა კონტროლი, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი ღონისძიება იქნება“.

● მექსიკის ოლიმპიადის დღეებში მთავარი სტადიონის ტერიტორიაზე გაიმართება სპორტული ფილმების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც პროფესიონალი კინემატოგრაფისტები, ისე მოყვარულები.

მასპინძლებმა ვერ გაუძლეს

ვარშავის „სკრას“ მოწვევით პოლონეთში იმყოფება სსრ კავშირის შარშანდელი შეჯიბრების მეორე პრიზიორი თბილისის „დინამოს“ რეგბისტთა გუნდი, რომელიც აქ პოლონეთის გუნდებთან 3 მატჩს გამართავს.

ეს ტურნირი ეძღვნება ოქტომბრის 50 წლისთავს.

თბილისელებმა, რომელთა შემადგენლობაში არიან აკოფოვი, ოსეფაშვილი, ჩიკვაიძე, თოფურიძე, რეხვიაშვილი, კიზირია, კვინიხიძე, ღვინიაშვილი და სხვები, პირველ მატჩში აღმავლობით ითამაშეს „სკრასთან“ და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 9:3 (6:3). განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს თოფურიძემ, კიზირიამ და ღვინიაშვილმა, რომლებიც დინამოელთა ყველა შეტევის ორგანიზატორები იყვნენ.

გუნდს თან ახლავან მწვრთნელები გ. მრელაშვილი და კ. სარქისოვი.

„ბობსლეის გაკოტრება“

„ჩვენი ბობსლეი გაკოტრდა“ — წერს ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე“. გაზეთი აღწერს ავსტრიის ბობსლეის მოყვარულთა კავშირის კატასტროფიულ მდგომარეობას. არა აქვს რა არავითარი სახელმწიფო სუბსიდია, კავშირს ამჟამად 200 ათასი შილინგი ვალი აქვს. ეს დიდი თანხა რომ გადაიხადოს, მას ერთი გამოსავალი აქვს — გაყიდოს აღჭურვილობა.

კავშირის გამგეობის სპეციალურ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გაყიდონ ბობსლეის საუკეთესო ციგები, რომლებიც ავსტრიის მოყვარულ ბობსლეისტებს ეკუთვნით. ამ ქვეყანაში ჩამოვიდა რამდენიმე დასავლეთგერმანელი საქმოსანი. მათ ციგებში კავშირს შეაძლიეს 600 ათასი შილინგი.

ამ ამბავთან დაკავშირებით ავსტრიის პრესა სვამს კითხვას: ოდესღაც, ავსტრიის ბობსლეისტი სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ მსოფლიოში. შეიძლება პრეტენზია განვაცხადოთ ამ დიდებაზე ამჟამად ოლიმპიური თამაშების წინ და ვიოცნებოთ ოლიმპიურ მედლებზე, როცა იყიდება საუკეთესო სამამულო ციგები?

კონტროლი ყოველი თამაშის შემდეგ

ფეხბურთის მოყვარულებს ახლაც ახსოვთ სკანდალი, რომელიც შეემთხვათ იტალიელ ფეხბურთელებს მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე ინგლისში. მაშინ „სკუადრა აძურას“ რამდენიმე სპორტსმენმა განაცხადა, რომ გუნდის მწვრთნელმა და ექიმებმა აიძულეს ისინი ეყლაპათ აბები, რის შედეგად „აღგზნებას დაღლილობა მოსდევდა“. სწორედ ამ სკანდალის შედეგად თავისი პოსტი დატოვა ნაკრების მწვრთნელმა ედმონდო ფაბრიმ.

რა მდგომარეობაა ამჟამად?

ამ დღეებში იტალიის ფეხბურთის კავშირმა შეამოწმა კლუბ „ფკ ნეაპოლის“ სპორტსმენები. ექიმები დარწმუნდნენ, რომ ფეხბურთელთა უმრავლესობა აღმგზნებ საშუალებას იღებს. „ამას შეიძლება ვებრძოლოთ მხოლოდ ეფექტური ზომებით“, — განაცხადა იტალიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენელმა.

და ზომებმაც არ დააყოვნეს. კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება: იტალიის ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ შეამოწმონ ყველა ფეხბურთელი. დოპინგის მიღების შემთხვევაში ფეხბურთელს ემუქრება სამუდამო დისკვალიფიკაცია, ან დიდი ფულადი ჯარიმა.

ოლიმპიადა და... ბუნდესვერი

როცა ტოკიოს მუნიციპალიტეტმა XVIII ოლიმპიური თამაშების მომზადებისთვის გამოყოფილი სახსრების ნაწილი საქალაქო ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისთვის გაიღო, ეს არავის გაკვირვებია. მიუნხენის მუნიციპალიტეტი კი სულ სხვაგვარად იქცევა.

როგორც ცნობილია. 1972 წელს მიუნხენში უნდა ჩატარდეს საზაფხულო ოლიმპიადა. წინასწარ გამოანგარიშებით აქ ელიან 3000-ზე მეტ ჟურნალისტს და 70 ათას ტურისტს. სად უნდა დააბინაონ ისინი?

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ეს საკითხი ორიგინალურად გადაწყვიტეს.

ყოველი მხრიდან

ოლიმპიური სახსრებით ისინი ქალაქში ააშენებენ ბუნდესვერის ახალ ყაზარმებს, სადაც თამაშების დროს დაბინავდებიან ჟურნალისტები და სპორტის მოყვარულები.

თამაშების შემდეგ?

რასაკვირველია, ყველა ნაგებობა გადავა დასავლეთგერმანული ბუნდესვერის განკარგულებაში. ამრიგად, კეთილშობილური ოლიმპიური იდეალებისადმი მიძღვნილ სპორტსმენთა შეჯიბრებებს მილიტარისტები თავიანთი ბინძური საქმეებისთვის იყენებენ.

როჟე რივიერას აღიარება

საფრანგეთში ამჟამადაც გრძელდება გაცხოველებული დისკუსია თემაზე: აღიარონ თუ არა „ტურ დე ფრანსის“ ტრადიციულ რბოლაში მრავალგზის გამარჯვებულის ჟაკ ანკეტილის მსოფლიო რეკორდი. ანკეტილმა 47,493 კმ სიჩქარე აჩვენა საათში, რომლის შემდეგ უარი თქვა საექიმო შემოწმებაზე. იმ მომენტში ჰქონდა თუ არა მას სისხლში დოპინგი?

ამასთან დაკავშირებით, თავისი სიტყვა თქვა ანკეტილის წინამორბედმა. 1958 წლის 23 სექტემბერს სახელგანთქმულმა ველომრბოლელმა ფრანგმა როჟე რივიერამ მილანის „ვიგორელის“ ველოდრომზე საათში აჩვენა 47,346 კმ. ეს შედეგი მაშინ მსოფლიო რეკორდად იქნა დამტკიცებული. ამჟამად, როჟე რივიერამ სენსაციური ინტერვიუ მისცა გაზეთ „ფრანს-დიმანშს“.

„თუ სიტყვა ჩამოვარდება ანკეტილის რეკორდის დამტკიცებასა თუ არ დამტკიცებაზე, — წერს რივიერა, — მაშინ ასევე კანონიერად უნდა დაისვას საკითხი: შეიძლებოდა ჩემი რეკორდის დამტკიცება? მე არ ვიცი არც ერთი ველოსიპედისტი, ჩემი ამხანაგი, პროფესიონალი, რომლებიც რბოლების წინ არ იყენებდნენ აღმგზნებ ნარკოტიკულ საშუალებებს. რასაკვირველია, ეს მარტო ჩვენს სახეობაში როდია.

მივიღე თუ არა დოპინგი რეკორდის დამყარების წინ? ახლა, როცა დიდი დრო გავიდა, გიპასუხებთ გულახდილად: დიახ, მივიღე. შეიძლება დაადანაშაულო მწვრთნელი, ექიმი, მაგრამ საქმე მარტო ამაში არაა. ფირმების წარმომადგენლები, რომლებისთვისაც ვმუშაობთ, ჩვენგან მოითხოვენ უჩვეულო მიღწევებს. ეს კი შეუძლებელია დოპინგის მიღების გარეშე.

დიახ, მე მივიღე დოპინგი, გავიკეთე ნემსები, ისე როგორც ეს გააკეთა ჟაკ ანკეტილმა თავისი რეკორდის დამყარების წინ, რასაც აკეთებს ჩვენი კოლეგების უმრავლესობა“.

ფეხბურთი

მოკლედ

ლოზანაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა მოუგეს კვიპროსის სპორტსმენებს — 5:0.

მიუნხენში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბავარია“ (გფრ) და „სეტუბალი“ (პორტუგალია), გაიმარჯვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა — 6:2. სამი ბურთის ავტორია გ. მიულერი, რომელიც დასავლეთ გერმანიის 1967 წლის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული.

გაიმართა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ინგლისისა და გფრ-ის ფეხბურთელებს შორის. გაიმარჯვეს გერმანელებმა — 1:0. რადგან პირველი მატჩი ინგლისელებმა მოიგეს (2:0), ოლიმპიური ტურნირის საგზურიც მათ მიიღეს.



◆ **ვარშავა, 10 ნოემბერი.** აქ სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს“ რეგბისტებმა მოიგეს მეორე მატჩიც. ამჯერად მათ დაამარცხეს პოლონეთის ძლიერი გუნდი „ოკეცი“ — 6:3.

◆ **ლონდონი, 10 ნოემბერი.** უელსის დედაქალაქ კარდიფში გაიმართა უჩვეულო შეჯიბრება — რბენა 40 მილზე (50 კმ-ზე მეტი). ეს მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა 28 წლის სტუდენტმა ლინ ჰიუჯესმა — 3.58.53,2. ეს შედეგი არაოფიციალური მსოფლიო მიღწევაა.

◆ **რომი, 10 ნოემბერი.** სამხტომის იტალიელი ოსტატი ჯ. ჯენტილე იტალიის რეკორდსმენი გახდა მძლეოსნობის ამ სახეობაში. სეზონის უკანასკნელ შეჯიბრებაზე მან აჩვენა 16,32 მ.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სპორტკავშირი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია და თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბ. პაიჭაძეს მისი შვილის

ოთარ პაიჭაძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი ყოველ დღე 19 საათიდან. გამოსვენება 14 ნოემბერს 16 საათზე, პლეხანოვის პრ. № 86/90.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 12 ნოემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი გაიმართება დღეს „ისნის“ სტადიონზე. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი — ამერიკულად

აქამდე ბევრი როდი ცდილა ევროპაში პროპაგანდა გაეწია ეგრეთწოდებული ამერიკული „ფეხბურთისთვის“. ამ თამაშს წესები არა აქვს, აუცილებელი ის კი არაა გაიტანო გოლი, არამედ შეძლო მეტოქის ფიზიკურად დასახიჩრება. ამას წინათ შვეიცარიულმა გაზეთმა „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგმა“ დაბეჭდა ვინმე მაქს ე. ამანის სტატია. ავტორი აცხადებს: „აშშ-ში სპორტის № 1 ეროვნული სახეობა ტემპერამენტული, საბრძოლო და სპორტული ბრძოლით აღსავსე ამერიკული ფეხბურთია. ამ ქვეყანაში მას სამართლიანად უწოდებენ ამერიკულ სამხედრო თამაშს, რომელიც ამზადებს ნამდვილ ვაჟკაცებს მძიმე გამოცდისთვის“. რად მოსწონს ბატონ ამანს ამერიკული ფეხბურთი? ალბათ იმიტომ, რომ ეს თამაში სპორტსმენში ზრდის სისხლის წყურვილს, პროპაგანდას უწევს ძალის აშკარა კულტს, ხელს უწყობს ახალგაზრდობის გაყუყეჩებას და ამზადებს მათ გულგრილ მკვლელებად. ამერიკელმა საქმოსნებმა თავიანთ „ფეხბურთიდან“ დიდი მოგება მიიღეს. სპორტის „ამ სახეობის“ დანერგვისათვის მილიონებს ხარჯავენ და უფრო მეტ თანხას იღებენ. აი, ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითი.

„ატლანტის“ კლუბის ხელმძღვანელებმა იყიდეს უფლება მონაწილეობა მიეღოთ ჩემპიონატში „ეროვნული საფეხბურთო ლიგის სახელით“, რაშიც 8,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს. მაგრამ მათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ დაიბრუნებენ გაღებულ თანხას. ყოველი საფეხბურთო მატჩი ხომ 100 ათას მაყურებელს იზიდავს, ამასთან ყველაზე იაფი ბილეთი 6 დოლარი ღირს!

საქმოსნებს, რომელთაც ასულდგმულებთ დაბალი ინსტინქტები, სრულიად არ აინტერესებთ ის, რომ ამერიკაში საფეხბურთო მინდვრებზე ყოველწლიურად 100 კაცზე მეტი იღებს მძიმე ჭრილობას, ზოგიერთი კი ემშვიდობება ამ წუთისოფელს.

ჟურნალ „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტედან“ (გდრ) ამოღებული სურათები ზუსტად ახასიათებენ ამერიკული ფეხბურთის რაობას. რაც აქ არის აღბეჭდილი, ნამდვილად მოხდა დეტროიტის უნივერსიტეტისა და ბოსტონის კოლეჯის გუნდების შეხვედრაში. მთელი მატჩი სისხლიან ორთაბრძოლაში ჩატარდა. ამ „ფეხბურთელს“ (სურათი მარჯვნივ) გაუმართლა. გასისხლიანებულსა და ტალახში ამოსვრილს ჯერ კიდევ შეუძლია ფეხზე დგომა. სამაგიეროდ, მისი 12 თანაგუნდელი მოედნიდან გაიყვანა სანიტარულმა ავტომანქანამ.

ИНДЕКС 66448

საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უუ 11195